

# პარამჯიტი სინგჰ ბერვალი

## ევროკავშირის სამართლებრივი ლანდშაფტი და ხელოვნური ინტელექტი

### აბსტრაქტი

ამ სტატიის მიზანია, გააანალიზოს ევროკავშირის სამართლებრივი ლანდშაფტი ხელოვნური ინტელექტის ჩრდილში და გამოკვეთოს, თუ როგორ ვითარდება იგი ამ დინამიური დისციპლინის ფონზე. ეს ამოცანა მნიშვნელობას იძენს ეკონომიკაში ხელოვნური ინტელექტის მზარდი აქტუალობის კვლადკვალ. ამასთან, მეცნიერები აგრძელებენ არსებული სამართლებრივი ჩარჩოს შეფასებას იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად სრულად მოიცავს იგი განვითარებული ხელოვნური ინტელექტის ფონზე წამოჭრილ ყველა საკითხს, რადგან ეჭვგარეშეა, რომ რეფორმებმა და ცვლილებებმა უნდა უზრუნველყოს ხელოვნური ინტელექტის კონტროლი ყველა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ. ამ საკითხთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანია, იმის გარკვევა, თუ რა პრინციპს დაეყრდნობა ხელოვნური ინტელექტის პოლიტიკა და სამართალშემოქმედების პროცესი.

**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნური ინტელექტი, ევროპის კავშირი, რეგულაცია, სამართალი, ეკონომიკა.

### სტატიის მოკლე მიმოხილვა

ამ სტატიის მიზანია გააანალიზოს ევროკავშირის სამართლებრივი ლანდშაფტი ხელოვნური ინტელექტის (შემდეგში AI) ჩრდილში და გამოკვეთოს, თუ როგორ ვითარდება იგი ამ დინამიური დისციპლინის ფონზე. ეს ამოცანა მნიშვნელობას იძენს ეკონომიკაში ხელოვნური ინტელექტის მზარდი აქტუალობის კვლადკვალ, განსაკუთრებით კი იმ ძალისხმევითა კონტექსტში, რომელსაც ევროპის კავშირის ქვეყნები მიმართავენ ხელოვნური ინტელექტის საკუთარ ეკონომიკაში ინტეგრირების მიზნით. ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად ადამიანების მიერ ყოველდღიურ ცხოვრებაში ხელოვნური ინტელექტის მზარდი გამოყენების აღიარებისა, ევროპის კავშირის სურს ეს უკანასკნელი (ხელოვნური ინტელექტი) ძირითად ეკონომიკურ პროცესებში ჩართოს. ამასთან, კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც აიძულებს ევროკავშირს მიჰყვას ხელოვნურ ინტელექტთან დამოკიდებულების განსაზღვრის გზას, გახლავთ მისი უზარმაზარი ზეგავლენა ადამიანის არსებობის ყველა ასპექტზე.

სტატიის დასაწყისში ვეცნობით, თუ რას წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტი (AI). ევროკომისიის აზრით, AI გახლავთ "სისტემები, რომლებიც კონკრეტული მიზნების მისაღწევად ასახავს ინფორმაციულ ქცევას მათივე გარემოს ანალიზისა და კონკრეტული ქმედებების განხორციელების გზით - ავტონომიის გარკვეული ხარისხით." ევროკავშირი აღიარებს, რომ AI-ს საკუთარი მონაცემების გამოყენების ხარჯზე შესწავს თვითგაუმჯობესების უნარი, რასაც საბოლოო ჯამში, გადამწყვეტილებების ავტომატურად მიღებაზე მივყავართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, AI-ს შედეგად მოჰყვება მანქანების მიერ "გადამწყვეტილების მიღება" და "განხორციელება" ურიცხვი მონაცემების საფუძველზე და ეს პროცესი ადამიანურ პროცესთან იქნება მიახლოებული.

უფრო და უფრო მეტი მონაცემის მოპოვების მიზნით ადამიანებზე მუდმივი "მეთვალყურეობა", რაც, თავის მხრივ, ხელოვნური ინტელექტის სრულყოფას ემსახურება ამ უკანასკნელის მათივე სასარგებლოდ ამუშავებისთვის, დღის წესრიგში აყენებს მონაცემთა კონფიდენციალურობასთან დაკავშირებულ პრობლემას. ხელოვნური ინტელექტის შემუშავებაზე ორიენტირებული კორპორაციების მიერ კერძო პირების ურიცხვი მონაცემების შეუკავებელი გამოყენება ევროკავშირისთვის უკვე პრობლემა ხდება

GDPR-ის (საერთო მონაცემთა დაცვის რეგულაცია; ევროკავშირის მიერ მიღებული ბოლო დროინდელი მონაცემების რეგულაცია) გამოყენებისას. გარდა ამისა, ევროკავშირის ანტიმონოპოლიური უწყებებისთვის აღნიშნულის შედეგები ძალზე მასშტაბურია, იმდენად, რამდენადაც მხოლოდ მსხვილ ტექნოლოგიურ კომპანიებს (მაგ. Amazon) აქვთ წვდომა მონაცემებთან და ეს შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ბაზარზე კონკურენციის დასამახინჯებლად, რაც, ბუნებრივია, ზიანს მოუტანს სხვა კონკურენტებსა და მომხმარებლებს.

სტატიაში, ასევე, განხილულია, თუ როგორ ხდება AI უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ეკონომიკისთვის. შესაძლებელია ითქვას, რომ AI წარმოადგენს მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციას ორთქლის ძრავის, ელექტროენერჯის გამოგონებისა და ციფრული კომპიუტერის შემდეგ. სავარაუდოდ, ეს გამოიწვევს ექსპონენციურ ეკონომიკურ ზრდას, რაც, თავის მხრივ, პროდუქტიულობისა და წარმოების მოცულობის ზრდის შედეგად დადგება. აქედან გამომდინარე, არსებობს უამრავი მტკიცებულება იმისა, რომ AI უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება ეკონომიკაში. AI-ის ეკონომიკური შედეგები მაღალ ფსონებს უკავშირდება. გარდა ამისა, AI-ის მეშვეობით უნდა გადაიჭრას მსოფლიო პრობლემები.

შემდგომ ამისა, სტატიაში ხაზი ესმევა AI-ის არატრადიციულ ხასიათს, რის გამოც მისი რეგულაცია არა მხოლოდ სრულიად ახალ ცნებას წარმოადგენს ევროპის კავშირისთვის, არამედ, საჭიროებს უაღრესად სისტემურ მიდგომას, განსაკუთრებით, მაშინ, თუკი ხელოვნური ინტელექტის კაცობრიობისთვის გამოყენების საჭიროება დადგება. ის, რაც AI-ის რეგულირების პრობლემას უფრო ამწვავებს, გახლავთ მისივე პოტენციალი - მართალია, პერსპექტიული, მაგრამ მაინც საკმაოდ გაურკვეველი, რამეთუ ამ სფეროში მწყობრიდან გამოსვლას/შეფერხებას საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი. მიუხედავად ზოგიერთი მტკიცებისა, დატოვონ AI დაურეგულირებელი, რეგულაცია ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნევა მრავალ მიზეზთა გამო. უდავოა AI-ის რეგულირების საჭიროება, რამეთუ ადამიანის არსებობის თითოეული ასპექტი რეგულირდება იმისათვის, რომ ეს არსებობა უფრო ეფექტური და ეფექტიანი გახდეს.

სტატიაში, ასევე, განხილულია, თუ როგორი ურთიერთქმედება ვლინდება AI-სა და კანონმდებლობის ცნებას შორის. ევროპის კავშირის სხვადასხვა ქვეყნების მიერ ხელოვნური ინტელექტთან მიმართებით სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ეფექტით აღებული ინიციატივების კვლევის საფუძველზე, ავტორი მოკლედ მიმოიხილავს, თუ ვინ არის დაინტერესებული მხარე და რაში მდგომარეობს ეს ინტერესები. ევროკავშირის ყურადღების ცენტრში, უპირველესად, მოცემულ ეტაპზე, დგას ხელოვნური ინტელექტის დარეგულირების უზრუნველყოფის საკითხი, რათა დაეხმარონ ბაზრის ჯეროვნად ფუნქციონირებას და ამით მიაღწიონ ეკონომიკის ზრდას. აქვე აღინიშნება ინვესტიციების ნაკადები AI-ის სფეროში, რაც ხაზს უსვამს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი გახდა AI ევროკავშირის ეკონომიკისა და მომხმარებელთათვის.

AI სფეროში კანონისა და პოლიტიკის განხილვისას, ხაზი უნდა გაესვას ეთიკის კუთხით სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებელი მაღალი დონის ექსპერტთა ჯგუფის ფორმირებასა და როლს. AI-თან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების გარშემო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით ევროკავშირში შეიქმნა ხელოვნური ინტელექტის მაღალი დონის ექსპერტთა ჯგუფი. ჯგუფმა შეძლო AI ეთიკის პირველი სახელმძღვანელო პროექტის შემუშავება. გაიდლაინები ეხება ისეთ პრინციპს, როგორცაა გამჭვირვალობა, რომელიც კონკრეტულად მიმართულია AI-ის შემუშავებისა და მართვის სფეროში მოღვაწე პირებზე.

გარდა ამისა, დეტალურადაა განხილული კომისიის შეთავაზება რობოტექნიკის მიმართ სამოქალაქო სამართლის პრინციპების გამოყენებასთან დაკავშირებით, რამეთუ უაღრესად მნიშვნელოვანია განისაზღვროს პასუხისმგებლობა იმ შემთხვევებისთვის, რომლებიც შეიძლება რობოტების ან რაიმე სხვა ინტელექტუალური სისტემის მიზეზით დადგეს. თუმცა, ევროკავშირის მასშტაბით რობოტიკის მიმართ სამოქალაქო კანონმდებლობის გამოყენება AI-თვის საკმაოდ შემზღვეველი ფაქტორი გახლავთ, რადგან თავად AI არ შემოიფარგლება სისტემებზე ადამიანის კონტროლის შენარჩუნებით, არამედ, იგი ავტომატურობაზე აკეთებს აქცენტს.

ევროპარლამენტის რეზოლუცია ხაზს უსვამს რობოტთან დაკავშირებულ რისკებს ადამიანის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, ასევე, თავისუფლების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ერთიანობისა და ღირსების, თვითგამორკვევის, დისკრიმინაციის აღკვეთისა და პირადი მონაცემების დაცვის სფეროებში. რეზოლუცია, ასევე, გვთავაზობს არსებული საკანონმდებლო ბაზის განახლებას მასში ეთიკური პრინციპების შეტანით, რომლებიც რობოტების შემუშავებას, დაპროექტებას, წარმოებას, გამოყენებასა და მოდიფიცირებას ეხება. ხაზგასმულია, ასევე, გამჭვირვალობის პრინციპის მნიშვნელობა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისას და, ამავდროულად,

აქცენტი კეთდება პარლამენტის მიერ ხელოვნური ინტელექტის სრული ავტონომიურობის - ადამიანის კონტროლს მიღმა მოქმედების - მიზანიმართულად გამორიცხვაზე ეთიკური პრინციპებიდან გამომდინარე. საინტერესოა, რომ არაკონტროლირებად AI-თან დაკავშირებული შიშები აისახება რეზოლუციის შინაარსზეც, რაც მოითხოვს, რომ მუდამ არსებობდეს შესაძლებლობა AI-ის გამოთვლის სისტემის შემცირებისა იმ დონემდე, რაც გასაგები იქნება ადამიანისთვის. როგორც ჩანს, ეს ერთგვარი ბარიერი გახლავთ იმ მიზნისაკენ, რომლის მიღწევისკენაც ისწრაფვის კომისია და რაც ასახულიცაა მის გზავნილებში. პირადი და სენსიტიური მონაცემების დაცვა, ასევე, მუდამ უნდა იყოს ევროკავშირის AI-ის ეთიკური პრინციპების ზრუნვის საგანი.

ევროკავშირის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშით ევროკომისიას დაევალა განეხილა, იყო თუ არა სამართლებრივად შესაძლებელი რობოტებისთვის კონკრეტული სამართლებრივი სტატუსის შექმნა გრძელვადიან პერსპექტივაში, რაც გარკვეულწილად დაემსგავსებოდა სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების მქონე ელექტრონული პირის სტატუსს. შედეგად, ხელოვნური ინტელექტის სფეროს 156 ექსპერტმა კომისიას გაუგზავნა წერილი, სადაც გამოთქვეს შემოთავაზება AI-თვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭების უარყოფით შედეგებთან დაკავშირებით. ზოგი ექსპერტის განცხადებით, საზოგადოების ნორმატიულმა სტრუქტურამ უნდა განსაზღვროს, თუ რა სახის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს რობოტს.

კიდევ ერთ პრობლემას ვაწყდებით AI-თან დაკავშირებულ კანონშემოქმედებით სფეროში, კერძოდ, კანონმდებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა განჭვრიტოს მომავალი, რათა სათანადოდ გაუმკლავდეს პოტენციურ გამოწვევებს. აღნიშნული შესაბამისობაში მოდის ევროკავშირის მიდგომასთან სამომავლო პრობლემების განჭვრეტისა და მოცემულ დროში მათი საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევის შესახებ. რეგულაცია მოითხოვს იმ გაურკვევლობის აღმოფხვრასაც, რომელიც ტექნოლოგიებში მეოთხე ინდუსტრიულმა რევოლუციამ მოიტანა.

გარდა ამისა, ევროკავშირში ამ სფეროს მარეგულირებელი ძირითადი საქმიანობა ხორციელდება ეთიკის განვითარების მიმართულებით, და ეს მაშინ, როდესაც კანონები ან სამართლებრივი ჩარჩოები, როგორც სოციალური ხელმძღვანელობის ან კონტროლის მექანიზმი, განსხვავდება ეთიკისგან. AI-ის დისციპლინაში, უპირველესად, სწორედ ეთიკა განიხილება. არსებობენ მეცნიერები, რომლებიც ხელოვნურ ინტელექტზე ორიენტირებული კანონშემოქმედების კუთხით მასშტაბური გარღვევის მომხრენი არიან და ხელოვნური ინტელექტის პროექტში “დემოკრატიის, კანონის უზენაესობის პრინციპების და ადამიანის უფლებების” შეტანას მოითხოვენ. AI-ის ბუნების გათვალისწინებით, ამ სფეროს კანონშემოქმედება - სულ მცირე, ამ ეტაპზე - ნორმატიულ იურისპრუდენციას ეყრდნობა. ეს ნორმატიული იურისპრუდენცია მიმართულია სხვისადმი ზიანის მიყენების აღკვეთისკენ. სინამდვილეში, ხელოვნური ინტელექტის სფეროში კანონშემოქმედება ხელმძღვანელობს სამართლებრივი მორალიზმით, სამართლებრივი პატერნალიზმით. ბოლო დროს ევროკავშირში ზოგიერთი წევრი ხელოვნური ინტელექტის კანონშემოქმედების კუთხით გაცილებით შენელებული ტემპის მხარდამჭერად გამოდის, ისინი გვთავაზობენ, უფრო დიდი ყურადღება დაეთმოს ეთიკური პრინციპების ფორმულირებას და სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების მიღებას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც კანონით არ არის გათვალისწინებული. ევროკავშირის ამგვარი ახალი მოცემულობა რალაცით ჩამოჰგავს დაურეგულირებელ საბაზრო მიდგომას ხელოვნური ინტელექტის სექტორისადმი, რომელსაც აშშ-ში გვპირდებიან.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ამ სფეროში დომინირებს, არის ის, რომ, როგორც ჩანს, კანონშემოქმედება “ადამიანის კონტროლის» კონტექსტში AI-თან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავების შესახებ საუბრობს. ეს ნიშნავს, რომ თავად ვარაუდი, რომელიც კანონშემოქმედებისთვის საფუძველს წარმოადგენს ხელოვნურად ინტელექტუალურ სუბიექტებთან მიმართებით, ძირს უთხრის ამ უკანასკნელის დამოუკიდებლად არსებობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონი, პრინციპში, მართავს ადამიანებს და იმასაც, თუ რას ფიქრობენ ადამიანები; მაგალითად, მას შეუძლია აკონტროლოს ხელმისაწვდომი გარე სივრცე, ცხოველები და ა.შ. ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, დაექვემდებარება თუ არა მალაგანვითარებული ხელოვნური ინტელექტი ადამიანის მიერ შექმნილ სამართლებრივ რეჟიმს. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, კანონშემოქმედება რელევანტურია მხილოდ ამ ეტაპსა და გარდამავალ ეტაპზე, სადაც AI ჯერ კიდევ ადამიანის დონის ინტელექტის შექმნის გზაზეა. არავინ დაფიქრებულა იმაზე, თუ როგორი იქნება სამართლებრივი ლანდშაფტი მაშინ, როდესაც ხელოვნური ინტელექტი ადამიანური ინტელექტის დონეს მიაღწევს ან მას გადააჭარბებს. ახლოვდება დრო, როდესაც AI აღარ დაექვემდებარება ადამიანის კონტროლს და ეს ჰიპოთეზა არც შორეული და არც მოგონი-

ლი ალბათობა გახლავთ, თუკი გავითვალისწინებთ თანამედროვე ლიტერატურას, რომელსაც აშკარად შეუძლია ამგვარი სცენარის შექმნა. ვის შეეძლო წარმოედგინა პირველყოფილი წყობილების დროს, რომ ადამიანები გამოიყენებდნენ სმარტფონს, ვიდეო-ზარებს და ერთმანეთს ციფრულ ფაილებს დაუგზავნიდნენ? იგივე სურათი შეიძლება შეიქმნას AI შემთხვევაშიც.

სტატიაში, ასევე, მოცემულია მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რა გავლენას მოახდენს AI ევროკავშირში შემოქმედებითობაზე, ინოვაციასა და კონკურენციაზე. დასკვნის გამოტანამდე, სტატიაში ცოტაოდენი ლეტალური ავტონომიური იარაღების სისტემებზეცაა (LAWS) ნათქვამი.

ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ლეტალური ავტონომიური იარაღის სისტემების აკრძალვის შესახებ. განიხილავს რა LAWS-ს, როგორც “იარაღის სისტემას კრიტიკული ფუნქციების შერჩევასა და თავდასხმაზე ადამიანური მიზანმიმართული კონტროლის გარეშე“, ევროკავშირი გამოხატავს კანონის აკრძალვის სურვილს. კომისია ითვალისწინებს რისკებს, რაც AI-ის შესაძლო გაუმართაობის შედეგად შეიძლება წარმოიქმნას; ასევე, ხაზი ესმევა როლს, რომელიც შეიძლება არა-სახელმწიფო სუბიექტმა ითამაშოს, თუკი იგი ხელთ ჩაიგდებს LAWS-ს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გადანყვევტილების მიღების პროცესში ადამიანები ისწრაფვიან მასში ჩართვისკენ, რადგან ისინი ანგარიშვალდებულნი არიან. ამ ფონზე, კომისია, ასევე, დღის წესრიგში აყენებს საკითხებს, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს და ჰუმანიტარული რეჟიმის იმპლემენტაციას იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი ექნება LAW-ების ამოქმედებას.

ბოლოს, უნდა ითქვას, რომ პროგრესი, რომელიც ხელოვნური ინტელექტის სფეროში იქნა მიღწეული და კანონშემოქმედება, რომელსაც ევროკავშირი ახორციელებს, დროს უსწრებს. ევროკავშირში ნეფრი ქვეყნების დონეზე პოლიტიკის შემუშავება ტემპს იღებს, უფრო და უფრო მეტი ქვეყანა წარმატებული ინიციატივით გამოდის დამოუკიდებლად; ამასთან, ხელოვნური ინტელექტის კუთხით ერთსულოვანი პოზიციის არსებობის შესახებ ერთობლივი დეკლარაცია ასახავს გადაუდებელ აუცილებლობას დაარეგულიროს ის, რაც თუმცა აღქმის მიღმაა, მაგრამ მაინც საინფორმაციო წარმოსახვის ჩარჩოებში მოქცევადა. ალბათ, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომავალს ალაპარაკება და ამ ყველაფრის აღწერა შეეძლება.